ჩვენი მანდატი

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი ემსახურება:

- სტაბილიზაციას
- ნორმალიზაციას
- ნდობის აღდგენას

ნორმალიზაციისაკენ მიმართული საქმიანობის ფარგლებში ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ქალთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. არსებობს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას უზრუნველყოფს, მაგრამ ბევრ ქალს არ აქვს ინფორმაცია მის უფლებებსა და დახმარების მიღების საშუალებებზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შეუძლია:

- ქალებთან დაკავშირებული პოსტ-კონფლიქტური საკითხების განსაზღვრა და მათზე რეაგირება
- მხარდაჭერა შემთხვევების ადგილობრივი ხელისუფლების, ეროვნული და საერთაშორისო სააგენტოებისათვის განსახილველად გადაცემით
- დახმარების მიღების გზებზე ქალთათვის ინფორმაციის მიწოდება და
- კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების წამოჭრა და გენდერული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლება

ტელეფონის ნომრები გადაუდებელი შემთხვევებისათვის:

სახანძრო - 01

პოლიცია - 022

სასწრაფო დახმარება -03/033

დაგვიკავშირდით

პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისი

კრწანისის ქ. N49

თბილისი, 0140

საქართველო

press@eumm.eu

www.eumm.eu

კამპანიას მხარს უჭერენ:

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, გორის გენდერული რესურსცენტრი, გაეროს ქალთა განვითარების ფონდი (UNIFEM), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „სახლი“ - ქალთა საკონსულტაციო ცენტრი, ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი (ძდექ), კავშირი „საფარი“,დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, კავკასიის ქალთა ქსელი, ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირი

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

კამპანია გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად

სად მივიღოთ დახმარება

სად მივიღოთ დახმარება

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის საკითხებზე შემდეგი ორგანიზაციები მუშაობენ და მათთან დაკავშირება დაუყოვნებლივ შეგიძლიათ.

პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს ეგიდით გაიხსნა **გორის გენდერული რესურსცენტრი**. ცენტრი კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გენდერული თანასწორობის გაძლიერებას.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია რესურსცენტრის მომსახურებებსა და საქმიანობაზე, თუ გაქვთ კონფლიქტისაგან გამოწვეული პირადი პრობლემა, რომლის გაზიარებაც გსურთ ან თუ მიიჩნევთ, რომ განიცდით დისკრიმინაციას, გთხოვთ დაუკავშირდეთ **რესურსცენტრის ცხელ ხაზს**: 8 (270) 26645

არავის აქვს უფლება სასტიკად მოგექცეთ!

თუ გაქვთ პრობლემები ოჯახის წევრებთან ურთიერთობებში; თუ თქვენ ან რომელიმე თქვენს ოჯახის წევრს უჭირს ემოციების მართვა - სიტემატიურად ავლენს ბრაზს, აგრესიას და გაღიზიანებას; თუ გაქვთ ხშირი კონფლიქტები ოჯახში, რომელსაც თან სდევს ფიზიკური, სიტყვიერი და სექსუალური ძალადობა, გთხოვთ დაუკავშირდეთ შემდეგ ორგანიზაციებს:

არასამთავრობო ორგანიზაცია **„სახლი“** 895 232102; 8 (22) 989080
არასამთავრობო ორგანიზაცია **„ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“** 8 (22) 398934; 8(270) 77945 (ასევე დაუკავშირდით იურიდიული კონსულტაციისათვის)
არასამთავრობო ორგანიზაცია **„საფარი“** 8 (22) 225402/220689
არასამთავრობო ორგანიზაცია **„სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება“** 871 548344; 871 18 2029; 899 548344

თუ გესაჭიროებათ იურიდიული კონსულტაცია გთხოვთ დაუკავშირდეთ შემდეგ დაწესებულებებს:
იუსტიციის სამინისტროს იურიდიული კონსულტაციის ცენტრი 8 (270) 78836
სახალხო დამცველის ოფისი 8 (270) 995898
ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო/პროექტი ინფორმაცია, კონსულტაცია, იურიდიული დახმარება (NRC/ICLA) 8 (22) 379115; 8(270) 73886; 8(231) 52502; 8(215) 52638
საია 8 (270) 79 842
კავკასიის ქალთა ქსელი 8 (22) 988 695
დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ 8 (22) 344982; 899 399028
ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირი 8(22) 102920

გახსოვდეთ ადამიანით ვაჭრობის რისკის შესახებ. ადვილად არ ენდოთ ადამიანებს, რომლებიც კარგ სამუშაო ადგილებსა და ანაზღაურებას გპირდებიან საზღვარგარეთ. **გადაამოწმეთ მსგავსი შემოთავაზებები ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში ნომერზე 10 02 29.** ამასთან, შეგიძლიათ დარეკოთ იმავე ნომერზე 10 02 29 თუ გესაჭიროებათ ფსიქოლოგიური ან იურიდიული დახმარება ან გახდით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი და გესაჭიროებათ უსაფრთხო თავშესაფარი.

თუ თქვენ და სხვა ქალებს თქვენს გარშემო ესაჭიროებათ გინეკოლოგიური შემოწმება, ექოსკოპია და გინეკოლოგის კონსულტაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ დაუკავშირდეთ **გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) რეპროდუქციული ჯანმრთელობის მობილურ ჯგუფს** 899 73 99 22. მობილური ჯგუფი ასევე უსასყიდლოდ არიგებს კონტრაცეპტივებს.

თუ დაინტერესებული ხართ ტრეინინგით მცირე ბიზნესის დაწყებისა და მართვის საკითხებზე დაუკავშირდით **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას**: გორი, მშვიდობის გამზირი N1. ტელ: 8(270) 77 080; თბილისი, ორბელიანის ქ. N35. ტელ: 8 (22) 990443/922839